ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 53

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2016 წლის 24 აგვისტოს

ერთის მხრივ, წარმოდგენილი ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ირინე მაისურაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „იმედი 2012" დირექტორის ავთანდილ აბრამიშვილის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან კერძოდ სოფელ არგვეთის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (CPV45400000 კოდით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

## 2. "საქონელი"

2.1 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება მიმწოდებლის ხარჯების გათვალისწინებით განისაზღვრება 3190,91 (სამიათასასოთხმოცდაათი ლარი და 91 თეთრი) ლარის ოდენობით.

## 4. „საქონელის" მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად, 2016 წლის 10 სექტემბრამდე.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე, სოფ. არგვეთის განყოფილება.

## 5. „საქონელის" მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

შემსყიდველი________________ მიმწოდებელი________________

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული „საქონელის" ღირებულ
ების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებული ვალდ ებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

8.5 ხელშეკრულებით დამტკიცებული პირობების დარღვევისათვის, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საქონლის არმიწოდების, ან მხოლოდ ნაწილის მიწოდების, ან/და მიწოდებულ საქონელში ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დამატებით ეძლევა 2 (ორი) დღე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. დამატებითი დროის გასვლის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის სახით მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავე დროს შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 9. ხარისხი და გარანტია

9.1 შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9.2 შესასრულებელი სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 6 (ექვსი) თვე, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

შემსყიდველი ____________ მიმწოდებელი ____________

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| არასამეწარმეო იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ | შ.პ.ს „იმედი 2012“ |
| მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3 | მისამართი: ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ #10 |
| სახელმწიფო ხაზინა | საბანკო რეკვიზიტები: |
| ერთიანი ანგარიში | „საქართველოს ბანკი“ |
| საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| | ანგარიშის ნომერი:GE03BG0000000516142800 |
| | საიდენტიფიკაციო ნომერი: 439393504 |

არასამეწარმეო იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ი. მაისურაძე

შ.პ.ს "იმედი 2012-ის" დირექტორი:

ა. აბრამიშვილი

დანართი №1

## სოფ. არგვეთის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | <u>სველი წერტილები</u> | | | | | | | | | |
| 1 | კედლის მოპირკეთება კაფელით | მ$^2$ | 15.30 | 15.00 | 229.50 | 10.00 | 153.00 | 5.00 | 76.50 | 459.00 |
| 2 | იატაკის მოწყობა კერამიკული ფილებით | მ$^2$ | 8.00 | 15.00 | 120.00 | 10.00 | 80.00 | 0.00 | 0.00 | 200.00 |
| 3 | წებო ცემენტი | კგ | 138.00 | 0.50 | 69.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 69.00 |
| 4 | პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობა კარკასით | მ$^2$ | 8.00 | 12.00 | 96.00 | 10.00 | 80.00 | 0.00 | 0.00 | 176.00 |
| 5 | შეიღებოს კედელი წყალემულსიის საღებავით | მ$^2$ | 16.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 64.00 | 0.00 | 0.00 | 64.00 |
| 6 | წყალემულსია | ლ | 4.80 | 5.00 | 24.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 24.00 |
| 7 | ფითხი | კგ | 16.00 | 0.50 | 8.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 8.00 |
| 8 | დამონტაჟდეს უნიტაზი | ც | 2.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 40.00 | 0.00 | 0.00 | 40.00 |
| 9 | დამონტაჟდეს ხელსაბანი | ც | 2.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 40.00 | 0.00 | 0.00 | 40.00 |
| 10 | სამზარეულოს გამწოვი მონტაჟით | ც | 1.00 | 300.00 | 300.00 | 50.00 | 50.00 | 0.00 | 0.00 | 350.00 |
| 11 | როზეტი | ც | 1.00 | 3.00 | 3.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 |
| 12 | ჩამრთველი | ც | 1.00 | 3.00 | 3.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 |
| | <u>სამზარეულო</u> | | | | | | | | | |
| 1 | კედლის მოპირკეთება კაფელით | მ$^2$ | 5.60 | 15.00 | 84.00 | 10.00 | 56.00 | 0.00 | 0.00 | 140.00 |
| 2 | წებო ცემენტი | კგ | 33.00 | 0.50 | 16.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 16.50 |
| 3 | შეიღებოს კედელი წყალემულსიის საღებავით | მ$^3$ | 28.00 | 4.00 | 112.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 112.00 |
| 4 | წყალემულსია | კგ | 33.00 | 5.00 | 165.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 165.00 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ფითხი | კგ | 28.00 | 0.50 | 14.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 14.00 |
| 6 | ჩამრთველი | ც | 1.00 | 3.00 | 3.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 |
| | წყალკანალიზაცია | | | | | | | | | |
| 1 | ბეტონის კედლის დანგრევა პნევმოჩაქუჩით | $მ^3$ | 1.00 | 0.00 | 0.00 | 40.00 | 40.00 | 0.00 | 0.00 | 40.00 |
| 2 | გრუნტის დამუშავება ხელით | $მ^3$ | 5.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 75.00 | 0.00 | 0.00 | 75.00 |
| 3 | კან. მილი დ-100 | მ | 20.00 | 5.00 | 100.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 100.00 |
| 4 | კან. მილი დ-50 | მ | 18.00 | 4.00 | 72.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 72.00 |
| 5 | კან. მილი დ-25 | მ | 48.00 | 2.00 | 96.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 96.00 |
| 6 | სიფონური ნაწილები | $მ^2$ | 20.00 | 3.00 | 60.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 60.00 |
| 7 | შეფუთვა | $მ^2$ | 5.00 | 2.00 | 10.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 10.00 |
| 8 | შეკიდული ჭერის სანათი | ც | 2.00 | 10.00 | 20.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 |
| | ჯამი | | | | 1605.00 | | 678.00 | | 76.50 | 2359.50 |
| | ზედნადები ხარჯები | % | 6.00 | – | – | – | – | – | – | 141.57 |
| | ჯამი | – | – | – | – | – | – | – | – | 2501.07 |
| | გეგმიური დაგროვება | % | 6.00 | – | – | – | – | – | – | 150.06 |
| | ჯამი | – | – | – | – | – | – | – | – | 2651.13 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯი | % | 2.0 | – | – | – | – | – | – | 53.02 |
| | ჯამი | – | – | – | – | – | – | – | – | 2704.16 |
| | დ.ღ.გ. | % | 18.0 | – | – | – | – | – | – | 486.75 |
| | ჯამი | – | – | – | – | – | – | – | – | 3190.91 |

შემსყიდველი:
ა.ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
ი. მაისურაძე

მიმწოდებელი:
შ.პ.ს "იმედი 2012-ის" დირექტორი:
ა. აბრამიშვილი